სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

# როგორ ვიმოქმედოთ საპროტესტო აქციებზე

კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის თავდაცვასა და სახელმწიფო-საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს თანამშრომლის გარდა, **ყველას აქვს საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება.**

## შეკრებებსა და მანიფესტაციებზე შეგიძლიათ თან იქონიოთ:

- პროტესტის გამოხატვისთვის საჭირო ატრიბუტები, როგორებიცაა პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები და სხვა სახვითი საშუალებები;
- თავდაცვის/უსაფრთხოების სხვა საშუალებები, როგორებიცაა პირბადე, აირწინაღი, ფიზიოლოგიური ხსნარი და სხვ;
- პირადი ნივთები, წყალი, საკვები და ა.შ.;
- ყველა სხვა ნივთი, რაც არ არის აკრძალული.

## აკრძალულია შემდეგი ნივთების აქციაზე ქონა:

- ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი, ადვილაალებადი, რადიოაქტიური ნივთიერება ან ცივი იარაღი;
- ისეთი საგანი ან ნივთიერება, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის ზიანის მისაყენებლად;
- ცრემლსადენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერება;
- ალკოჰოლური სასმელები.

## როგორ მოვიქცეთ პოლიციასთან ურთიერთობისას

- **დარწმუნდით, რომ ესაუბრებით პოლიციელს:**

პოლიციელი ვალდებულია, თუ გარეგნული ნიშნებით შეუძლებელია მისი სამართალდამცავად იდენტიფიცირება, წარმოადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუკი ეს ხელს არ შეუშლის საპოლიციო ფუნქციების შესრულებას.

- **თუ პოლიციელს სურს თქვენი ვინაობის დადგენის მიზნით გამოკითხვა და იდენტიფიკაცია:**

პოლიციელი უფლებამოსილია, შეგაჩეროთ, გთხოვოთ ვინაობის დასახელება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. გახსოვდეთ, რომ პირის ვინაობის დადგენას უნდა გააჩნდეს კანონისმიერი საფუძ-

ვლები, ამიტომ, უფლება გაქვთ, პოლიციელს ჰკითხოთ, თუ რა გახდა თქვენი შეჩერებისა და ვინაობის დადგენის საფუძველი. როგორც წესი, ხსენებული საფუძვლები კანონდარღვევაზე რეაგირებას, ან სამართალდარღვევის საფრთხის პრევენციას მოიაზრებს. გახსოვდეთ, რომ თქვენ კანონით გაქვთ პოლიციელთან კომუნიკაციის ვიდეოგადაღების უფლება.

### ▸ მოქალაქის იდენტიფიკაციის დამატებითი მექანიზმები:

პოლიციელს უფლება აქვს თქვენგან მოიპოვოს დამატებითი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია (ფოტოსურათი, თითის ანაბეჭდი, სიმაღლის გაზომვა, ხმის ჩაწერა) მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითიდენტიფიკაციის ნებაყოფლობითი მეთოდებით თქვენი ვინაობის დადგენა შეუძლებელია, ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ თქვენ მიერ მიწოდებული მონაცემები ან/და პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ ასახავს რეალობას. შესაბამისად, თუ თქვენ პოლიციელს ვინაობა ნებაყოფლობით გაუმხილეთ და წარუდგინეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მას აღარ აქვთ დამატებითი საშუალებებით თქვენი იდენტიფიკაციის კანონიერი საფუძველი. თუ პოლიცია მაინც ითხოვს თქვენგან დამატებითი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მოპოვებას, აუცილებლად დარწმუნდით, რომ მათ შეადგინეს ოქმი. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით ოქმში მითითებულ გარემოებებს, უფლება გაქვთ, რომ არ მოაწეროთ ხელი და გაიკეთოთ შენიშვნა.

### ▸ ზედაპირული დათვალიერება და ჩხრეკა:

მომხდარ დანაშაულზე ან სამართალდარღვევაზე რეაგირების, ან მათი პრევენციის მიზნით, პოლიცია უფლებამოსილია, განახორციელოს თქვენი ზედაპირული დათვალიერება. ზედაპირული დათვალიერება გულისხმობს ტანსაცმლის გარე ზედაპირის ხელით ან სპეციალური ხელსაწყოთი დათვალიერებას. ზედაპირული დათვალიერება არ გულისხმობს  პირადი ნივთების გახსნას და შიგთავსის შემოწმებას. საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში, ჩხრეკის უფლება პოლიციას არ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზედაპირული დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ნივთი. გახსოვდეთ, რომ თუ არ ეთანხმებით ზედაპირული დათვალიერების საფუძველზე შემდგარი ოქმის შინაარსს, თქვენ უფლება გაქვთ, არ მოაწეროთ მას ხელი, ან მოითხოვოთ ოქმზე შენიშვნის დართვა ნებისმიერი შინაარსით.

### საპოლიციო გამოკითხვა:

საპოლიციო გამოკითხვა, გარდა ვინაობის დადგენის მიზნით გამოკითხვისა, ნებაყოფლობითია და პოლიციისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ გაქვთ, რაც სათანადოდ უნდა განგიმარტოთ. პოლიციამ ასევე უნდა მიგითითოთ გამოკითხვის საფუძვლებზე.

### ადგილის დატოვების მოთხოვნა, ან კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა:

პოლიციას შეუძლია მოგთხოვოთ ადგილის დატოვება ან აგიკრძალოთ კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული შეზღუდვა შესაძლოა გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე. გახსოვდეთ, რომ უფლება გაქვთ, პოლიციას ჰკითხოთ, თუ კონკრეტულად რა საფრთხის თავიდან ასაცილებლად გეკრძალებათ ტერიტორიაზე ყოფნა ან სასურველი მიმართულებით გადაადგილება. აგრეთვე, ამ ღონისძიებამ არ უნდა გამოიწვიოს თქვენი უფლების ხანგრძლივი შეზღუდვა, ისარგებლოთ საკუთარი საცხოვრებელი ადგილით.

## სპეციალური საშუალებების გამოყენება:

საპროტესტო აქციაზე პოლიციელი უფლებამოსილია პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას. თუ უფრო ნაკლებად ხისტი საშუალებითაც შესაძლებელია მიზნის მიღწევა (მაგ. ტერიტორიის გათავისუფლება) პოლიციას არ აქვს უფლება, რომ მოქალაქის მიმართ უფრო მძიმე იძულების ღონისძიება, ან სპეციალური საშუალება გამოიყენოს. აგრეთვე, საპოლიციო ძალა გამოყენებული უნდა იყოს კონკრეტულად იმ ადრესატების მიმართ, ვინც გასცდება მშვიდობიანი შეკრების უფლებას და არა მთლიანად დემონსტრაციის/შეკრების დასაშლელად.

### პოლიცია საპროტესტო აქციებზე, როგორც წესი, იყენებს შემდეგი სახის სპეციალურ საშუალებებს:

**ფარი, სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, არალეტალური იარაღი / ჭურვი, წყალსატყორცნი, წიწაკის გაზი**

საჭიროებისამებრ, პოლიციას შეუძლია სხვა, კანონით დადგენილი სპეციალური საშუალებების გამოყენებაც.

- პოლიციელი **ვალდებულია,** ფიზიკური ძალის და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ **წინასწარ გააფრთხილოს პირი** და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად;
- იძულების ღონისძიების **სახე და ინტენსიურობა** განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და **სამართალდარღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.**
- პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული **ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.**

## თუ პოლიციამ დაგაკავათ:

ყველაზე ხშირად, საპროტესტო აქციებზე დაკავება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე მუხლის (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) საფუძველზე ხდება.

**დაკავებისას, პოლიციელი ვალდებულია:**

- **განგიმარტოთ თქვენ მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი;**
- **განგიმარტოთ ადვოკატის ყოლის უფლება;**
- **მოგცეთ თქვენი დაკავების ფაქტის ახლობლებისთვის შეტყობინების საშუალება.**

**! იცოდეთ, რომ:**

- **თქვენი დაკავების ფაქტზე უნდა შედგეს დაკავების ოქმი;**
- **თქვენ უფლება გაქვთ, რომ არ მოაწეროთ ხელი აღნიშნულ ოქმს, თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი გაქვთ უფლება, რომ ოქმზე დააფიქსიროთ შენიშვნა / მიუთითოთ დარღვევაზე;**
- **თქვენ უფლება გაქვთ, რომ მოითხოვოთ დაკავების ოქმის ასლი;**
- **თქვენ უფლება გაქვთ, პოლიციელს, არსებობის შემთხვევაში, მოუწოდოთ სამხრე კამერის ჩართვისკენ.**

რა არ უნდა გააკეთოთ პოლიციასთან ურთიერთობისას:

- არ გაუწიოთ პოლიციელს წინააღმდეგობა და არ მიაყენოთ შეურაცხყოფა;
- არ გააკეთოთ არანაირი განმარტება და არ მისცეთ ჩვენება ადვოკატის გარეშე;
- არ ხართ ვალდებული, რომ დაკავებამდე პოლიციელს გადასცეთ თქვენი ტელეფონი;
- არ ხართ ვალდებული, რომ პოლიციელს გაუზიაროთ თქვენი მობილურის პაროლი.

**უმჯობესია, მოახდინოთ პოლიციელთან ნებისმიერი კომუნიკაციის ვიდეოგადაღება, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ გაქვთ ვარაუდი, რომ პოლიცია თქვენს დაკავებას აპირებს.**

ადმინისტრაციული დაკავების ვადა 24 საათია. შესაბამისი დასაბუთებით, თუ ეს საჭიროა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისთვის, დაკავების ვადა შესაძლოა ერთჯერადად გაგრძელდეს დამატებით 24 საათით.

დაკავების შემდგომ, პოლიცია დალუქავს თქვენს ნივთებს, რომელიც გათავისუფლების შემდგომ უკან დაგიბრუნდებათ.

გახსოვდეთ, თუ აპირებთ, რომ ისარგებლოთ ადვოკატის მომსახურებით, ეს აცნობეთ პოლიციას და მათთან ნუ გააკეთებთ დამატებით განმარტებებს სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. დაელოდეთ ადვოკატთან კონსულტაციას.

თუკი პოლიციის განყოფილებიდან / დროებითი მოთავსების იზოლატორიდან პირდაპირ გადაგიყვანეს სასამართლოში და ჯერ არ გყავთ ადვოკატი, შეგიძლიათ მოითხოვოთ პროცესის გადადება, რათა სათანადოდ მოემზადოთ დაცვისთვის, ამასობაში კი შეარჩიეთ ადვოკატი.

- თუ დაგაკავეს რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე, უფასო საადვოკატო მომსახურებისთვის დარეკეთ:

**577 07 05 63**

- თუ ფიქრობთ, რომ პოლიციის/სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადგილი აქვს თქვენი უფლებების დარღვევას, შეგიძლიათ მოითხოვოთ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის ცხელ ხაზზე **(199) ან** საქართველოს სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე **(1481) დარეკვა**. პოლიცია ვალდებულია მოგცეთ ზარის შესაძლებლობა.